სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმი

რობიზონ ხურცილავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ასოცირებული პროფესორი სამართლიანი, ეფექტური, ჰუმანური და ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების სისტემა წარმოადგენს ქვაკუთხედს ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. სამართლებრივი სახელწიფოს ფუნქციაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და რეალიზაცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება ერთგვარი საწყისია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების.[1] შესაბამისად, უფლების სრულად დაცვის გარანტია სასამართლოსათვის მიმართვისა და უფლების დაცვის შესაძლებლობაა, რაც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით და ნორმებით[2]. თუმცა ასეთ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი პირობაა არსებობდეს დარღვეული უფლების აღდგენის ან დარღვევის თავიდან აცილების საშუალება, ამრიგად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში პროცესი დასრულდეს გადაწყვეტილების აღსრულებით. სასამართლოს დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ, აგრეთვე, სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება[3].

ისეთი მნიშვნელოვანი გარანტია, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე, გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა თეორიასა და პრაქტიკაში, რადგან აღუსრულებელი გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას, რაც საზოგადოების მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია. ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი გარანტია მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას.[4] სწორედ ასეთი მექანიზმია სარჩელის უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში გადაწყვეტილება აღუსრულებელი არ რჩება. თუმცა მიუხედავად, სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით.[5] ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმია[6], ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე მხარის უფლების შეზღუდვის, სასამართლომ უნდა შეძლოს გონივრული ბალანსის დაცვა მხარეთა ინტერესებს შორის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დარღვევის გარეშე.

კვლევის ძირითადი მიზანია შეისწავლოს სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სასამართლოის გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი მექანიზმი.

კვლევის დროს გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი: ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ლოგიკური ანალიზის მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: სარჩელის უზრუნველყოფა.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

2 რ. ხურცილავა, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში, თბილისი, 2009 წელი, გვ. 17

3 მ. კოპალეიშვილი, მ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი 2008 წელი, გვ. 36-37.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

6 ნ. ცატუროვი, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1 სპეციალური გამოშვება, 2012 წ

PROVISIONAL MEASURES AS A LEGAL MECHANISM FOR ENFORCING A COURT DECISION

Robizon Khurtsilava
Associate Professor
of Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

A fair, efficient, humane and accountable justice system is the cornerstone of a society based on human rights and the rule of law. The function of the legal state is the protection and realization of human rights and freedoms, the right to a fair trial is a kind of starting point for the implementation of the principle of the legal state. Accordingly, the guarantee of full protection of the right is the possibility of applying to the court and protecting the right, which is strengthened by the universally recognized principles and norms of international law. However, in such case, the most important condition is that there is a way to restore the violated right or to prevent the violation, thus, within the right to a fair trial, the process ends with the enforcement of the judgement. The protection of the court should be complete, which implies not only the possibility of any person to appeal to the court, but also the obligation of the court to make a fair and reasoned decision.

An important guarantee, such as the enforcement of court decisions, is also considered in human rights theory and practice, because unenforceable decisions threaten legal stability, which is one of the fundamental foundations of sustainable development of society. The legal guarantee of protection of human rights includes all legal mechanisms that ensure the possibility of complete and effective protection of rights and legal interests by judicial procedure. Exactly such a mechanism is the provision of a lawsuit, by means of which the decision does not remain unenforceable within the right to a fair trial. However, despite the great importance of the right to a fair trial, it is not an absolute right and may be limited under certain conditions, which will be justified by the legitimate public interest in a democratic society. Since, on the one hand, provisional measure is a legal mechanism for protecting the plaintiff's right and, on the other hand, limiting the right of the defendant, the court should be able to maintain a reasonable balance between the interests of the parties without violating the principles of competition and equality.

The main purpose of the study is to study provisional measures as a legal mechanism for enforcing a court decision.

During the research, several methods were used: analysis and synthesis method, logical analysis method,

The key words: provisional measures

სარჩელის უზრუნველყოფის არსი და საფუძველი

დარღვეული უფლების აღდგენის ან უფლების დარღვევის პრევენციის მოთხოვნით სასამართლოში მიმართვისას, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ იქნება მხოლოდ აღიარებითი ხასიათის, არამედ, აუცილებლად აღსრულდება. სარჩელის უზრუნველყოფის სამართლის ინსტიტუტი ემსახურება იმ შემთხვევებს, როდესაც მომავალი გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება შეუძლებელი გახდეს ან არსებითად გართულდეს[7]. სარჩელის უზრუნველყოფა ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით.[8] როგორც პრაქტიკული სტრატეგიის საკითხი, სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა, როგორც წესი ხდება მაშინ, როდესაც განმცხადებელს აქვს რეალური საფუძველი იმის დასტურად, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შესაძლოა არ სურდეს ან/და არ შეეძლოს სასამართლოს დასასრულს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების დაკმაყოფილება. სწორედ ამ მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფას, როგორც მოსარჩელის მატერიალური უფლების დაცვის გარანტიას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ის გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.[9] აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს,[10] მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო

7 სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2013, გვ.3

8 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 217

9 საქართელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149 (უკანასკნელად გადამოწმდა: 12.01.2021)

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 ნოემბრის განჩინება

და მოსალოდნელ ხდომილებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება.[11]

გერმანიის კანონმდებლობაში განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა პირდაპირ არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, არსებობს, დროებითი სამართლებრივი დაცვის ორი მეთოდი, კერძოდ, ყადაღა და წინასწარი განკარგვა. საქმე ეხება დამოუკიდებელ პროცესს, რა შემთხვევაშიც ყადაღა ყველაზე ახლოსაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან.[12] სასამართლო ამოწმებს მხოლოდ რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაღა) მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისგან აღსრულების ეტაპზე.[13] მაგალითად, სანივთო ყადაღა ფულადი მოთხოვნების უზრუნველყოფას ემსახურება, რომლის დადებისთვის (ე.წ. ყადაღის საფუძველი), ერთგვაროვანი გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკმარისია, თუ მოვალის ქონებრივი მდგომარეობა ცუდია და აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი აღსრულებასთან დაკავშირებით.[14]

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შესაძლოა შეტანილ იქნას სარჩელის აღძვრამდეც (სსსკ-ის 192-ე მუხლი), თუმცა აღნიშნული განცხადების მთავარი პირობაა, სახეზე იყოს გადაუდებელი შემთხვევა. სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოსათვის მიმართვის დროისათვის არსებობს დასაბუთებული ვარაუდი და რეალური საშიშროება, რომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.[15] სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის (სარჩელის აღძვრამდე და შემდგომ) დასაბუთებულობა უნდა შეფასდეს სარჩელის/განცხადების მთლიანობაში შესწავლით და არ ფრაგმენტულად, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა, სამართლის დარგი/ქვედარგი, რომლის ფარგლებშიც ხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობა, მისი სპეციფიკა, რეგულირების სფერო, მიზანი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.[16] სასამართლოს საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი,[17] თუმცა ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.[18]

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის, შეგებებული სარჩელისა და მიკუთვნებითი სარჩელის უზრუნველყოფაც, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია.[19] კანონმდებლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაწესება არ გულისხმობს მის ავტომატურ გამოყენებას ნებისმიერი სარჩელის მიმართ. არამედ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს განსაკუთრებული მსჯელობის შედეგად.[20] კერძოდ, კი სასამართლო მხედველობაში უნდა იღებდეს იმას, თუ რამდენად აუცილებელია ესა თუ ის სამართლებრივი მექანიზმი სარჩელის უზრუნველსაყოფად და თუ დაადგენს მის აუცილებლობას, იგი ვალდებულია მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა[21] და მიიღოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

საქმეზე №ას-1483-1493-2011.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამქეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1437-1452-2011.

12 Schnitger H., Zur Geltendmachung von Schadensersatz wegen nicht gerechtfertigter Klagsicherungsmaßnahmen, 2020, 6.

13 ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, 8.

14 ჰაგენლოხი უ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2020, 661;

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N2453275-18;

16 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N3ბ/2727-17;

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1483-1493-2011.

18 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი", თბილისი, 2015, 383.

19 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. „სამართალი", თბილისი, 2007, 336.

20 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N2453275-18;

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „სპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც მოსარჩელის მატერიალური უფლების დაცვის გარანტია

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან, მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას.[22] თუმცა როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება.[23] სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მთავარი მიზანი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის პრევენციაა. სარჩელის უზრუნველყოფა ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ეფექტი და არ დაბრკოლდება მისი აღსრულება.[24] ვინაიდან, სასამართლო წარმოებაში სარჩელის მიღება მოწინააღმდეგე მხარეს არ ართმევს უფლებას და არ ზღუდავს გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს ქონება, ან/და დათმოს საკუთარი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, მოსარჩელის უფლებებს აქცევს დაუცველად და გადაწყვეტილებას აღუსრულებლად.[25] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კი, ფაქტობრივად, გამორიცხავს მოსარჩელის უფლებების დაუცველობას და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებას, ვინაიდან, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა ყოველთვის ქმნის ვალდებულების მომავალშიც შეუსრულებლობის პრეზუმციას,[26] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხე მხარეს ერთმევა შესაძლებლობა განკარგოს საკუთარი ქონება, მათ შორის, გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს, დადოს ქირავნობის ან თხოვების ხელშეკრულებები, დააგირავოს და ა.შ. მოპასუხე მხარის უფლების ამგვარ შეზღუდვას აქვს დროებითი ხასიათი, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასამართლო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად.[27] მოვალის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ისეთივე აღუსრულებელი რჩება, როგორც ვალდებულება, რომელიც მოპასუხე მხარემ მოსარჩელე მხარის წინაშე იკისრა. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია, მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.[28] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხს სასამართლო წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი.[29] კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამოსბა არ უნდა იკვეთებოდეს.[30] თუმცა, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ აშკარა შეუსაბამობაა დავის საგანსა და შეზღუდულ უფლებას შორის, მაგალითად, თუ მოპასუხე მხარის საკუთრებაში მხოლოდ ერთი ქონება ირიცხება, რომლის საშუალებითაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, სარჩელის უზრუნველყოფა იმთავითვე არ გამოირიცხება.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა პალატის 2021 წლის 14 მაისის განინება საქმეზე №ას-389-2021;

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/746 საქმეზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

25 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N3ბ/2727-17.

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5087-14.

27 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 აგვისტოს განჩნება საქმეზე №2ბ/3437-14.

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-981-2021

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინება საქმეზე №ას-420-2021.

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-534-2021.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს". [31]

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაც განსაზღვრავს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.[32] „აღნიშნული დებულება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება ილუზორული იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ერთი მხარის საზიანოდ, უმოქმედოდ დატოვებას. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს, კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე."[33]

ამგვარად, სარჩელის უზრუნველყოფით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება რეალურად აღსრულებადი ხდება. თუმცა მოსარჩელის მატერიალური უფლებების დაცვა იმდენად უნდა მოხდეს, რამდენადაც მეორე მხარისათვის უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ჩარჩოში მოექცევა.

გონივრული ბალანსის დაცვის აუცილებლობა დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესებს შორის

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი და იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.[34] ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის უფლების მზღუდავ საშუალებას,[35] აუცილებელია თანაზომიერების პრინციპის დაცვა მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესებს შორის. თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს უფლების შეზღუდვის ერთგვარ გაწონასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.[36] დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.[37] უფლებაში ჩარევა არ უნდა იყოს თვითმიზანი,[38] შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს ამავე ლეგიტიმური მიზნის ნაკლებად

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1483-1493-2011.

32 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმდა: 23,01,2021წ).

33 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე შპს „იზა" და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ.

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება N3/1/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/746 საქმეზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები-ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ".

მზღუდველი საშუალებით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა.[39]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად.[40] აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მიღება მოსარჩელის ცალმხრივად წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიმდინარეობს, მოპასუხის მონაწილეობისა და პოზიციის დაცვის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ საფუძველი დროული გადაწყვეტილების მიღებაა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხის ინტერესების არაკანონიერად შეზღუდვის დაცვის მექანიზმი ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არ არსებობს. შესაბამისად, მოსარჩელის ინტერესების დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს მოპასუხისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება,[41] რაც ცხადია წარმოშობს მოპასუხის ინტერესების დაცვის საშუალებების გამოყენების აუცილებლობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოპასუხის უფლებების დაცვის მექანიზმებსაც ითვალისწინებს, მაგალითად, 196-ე მუხლის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა,[42] ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობს.[43] უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია არა იმიტომ, რომ გაჭიანურდეს საქმის განხილვა, არამედ, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე.[44] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა მხარეთა თხოვნით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ ორივე მხარის თხოვნის აუცილებლობით, რადგან გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის თანმდევი ტვირთი და რისკი ორივე მხარეს აქვს.[45] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი შესაძლოა დააყენოს, როგორც მოსარჩელემ, ასევე, მოპასუხემ. მოსარჩელე აღნიშნულ მოთხოვნას აყენებს იმ შემთხვევაში, როცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც სულ პირველად (თავდაპირველად) განსაზღვრა სასამართლომ, საკმარისი არ არის ან კიდევ გაუმართლებელია.[46] ხოლო მოპასუხემ აღნიშნული შუამდგომლობა შესაძლოა იმ შემთხვევაში დააყენოს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მას და მის მიერ შეთავაზებული სხვა ქონება, სრულიად უზრუნველყოფს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტურ და დაუბრკოლებელ აღსრულებას.[47]

მოსარჩელის ინტერესების დაცვის კიდევ ერთი საშუალებაა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინაარმდეგე მხარის განცხადების სა-

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

40 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ:https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149 (უკანასკნელად გადამოწმდა: 05.04.2022)

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/746 საქმეზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

42 196 მუხლი

43 კაჟაშვილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, თბილისი, 2018, 66.

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ას-694-653-2011.

45 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-1185-1114-2012

46 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი", თბილისი, 2015, 392.

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-981-2021.

ფუძველზე.[48] ერთი მხრივ, კანონი განსაზღვრავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე მხარის უფლებას დაიცვას საკუთარი ინტერესები. ორივე შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსარჩელე ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.[49] სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, როგორც უფლებაში ჩარევა, მისი შემდგომი შეფასების გარეშე, თავისთავად არაპროპორციულია,[50] სწორედ შემდგომი შეფასების საკითხია მოპასუხე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა[51]. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის განსახორციელებლად აუცილებელია იდენტიფიცირებულ იქნეს სავარაუდოდ მოსალოდნელი ზარალის არსებობა,[52] თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად შერჩეულია ისეთი ღონისძიება, რომელიც არ მიაყენებს ზიანს მოპასუხეს, მაშინ, ცხადია მოიხსნება საკითხი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებაც.[53]

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემაც უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ნორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, მოახდინოს, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე, მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1-ე მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მარალ სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1-ე მუხლი).''[54] იმ შემთხვევაში თუ სარჩელის უზრუნველყოფის მტკიცების ტვირთი მხოლოდ მოსარჩელეს ეკისრება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მტკიცების ტვირთს კანონმდებელი მოპასუხესაც აკისრებს, უფრო მაღალი მტკიცების სტანდარტის გამოყენებით. ასეთ დროს მოპასუხე მხარემ შესაძლო ზიანის დადგომის ალბათობა იმდენად, უნდა დაასაბუთოს, რამდენადაც ეს საკმარისი იქნება სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისათვის. „ზიანის დადგომის ალბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით აღნიშნული არ დასტურდება, ხოლო საჩივრის ავტორი შემოიფარგლება მხოლოდ სავარუდო ზიანის შესაძლო დადგომის ფაქტზე მითითებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარეს სარწმუნოდ არ მიუთითებია მოსალოდნელი ზიანის დადგომის დამადასტურებელ გარემოებებზე, რაც გამორიცხავს მოთხოვნის ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებას.''[55]

48 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149 (უკანასკნელად გადამოწმდა: 05.04.2022)

49 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი'', თბილისი, 2015, 393.

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება N1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

51 ჰაინრიჰ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 2020 (10), გვ. 13

52 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/5/675,681 საქმეზე შპს „სამაუწყებლო კომპაია რუსთავი 2'' და შპს „ტელეკომპანია საქართველო'' საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

53 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. „სამართალი'', თბილისი, 2007, 354

54 საქათველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-1470-1390-2017.

55 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1483-1493-2011.

დასკვნა

ადამიანის უფლების შეზღუდვა, ყოველთვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საფუძვლით უნდა მართლდებოდეს, აუცილებელია, ამგვარმა ღონისძიებამ გამოიწვიოს სხვა კონსტიტუციური სიკეთის დაცვა, ვინაიდან, უფლების შეზღუდვა სწორედ სხვათა უფლებების და ინტერესების დაცვით არის განპირობებული.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობა მნიშვნელოვანი და საჭირო სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი ემსახურება, მოპასუხის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებით გამოწვეული, ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული უფლებების დროულ და რეალურ აღდგენას, რომლის გარეშე სასამართლოსათვის მიმართვა აზრს დაკარგავდა, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების აღიარება მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელი დარჩებოდა.

თუმცა აუცილებელია, აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება გამართლებულია, როდესაც არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებაც ადეკვატურია. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვა, ვინაიდან, სამართლებრივი სიკეთე, ერთი მხრივ, მოპასუხის უფლების სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელის უფლებებით, რომლის დაცვასა და დარღვევისაგან პრევენციას ემსახურება შესაბამის უფლებაში ჩარევა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
2. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
3. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005;
4. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი", თბილისი, 2015;
5. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. „სამართალი", თბილისი, 2007;
6. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018;
7. ჰაგენლოხი უ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2020;
8. ჰაინრიჰ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 2020 (10)
9. კაჟაშვილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, თბილისი, 2018,
10. მ. კოპალეიშვილი, მ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი 2008 წელი
11. სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2013
12. Schnitger H., Zur Geltendmachung von Schadensersatz wegen nicht gerechtfertigter Klagsicherungsmaßnahmen, 2020;
13. de la Sierra, Susana, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, 42, 2004. https://ssrn.com/abstract=513549>. 18.03.2018
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე შპს „იზა" და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ.
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2" და „სპს ტელეკომპანია საქართველო" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება N3/1/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ".

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/6/746 საქმეზე შპს „ჯორჯიან მანგანეზი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები-ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება N1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე"

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 02 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1483-1493-2011.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამქეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1437-1452-2011.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა პალატის 2021 წლის 14 მაისის განინება საქმეზე №ას-389-2021;

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-981-2021 ;

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 მაისის განჩინება საქმეზე №ას-420-2021;

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-534-2021.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ას-694-653-2011.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-1185-1114-2012;

34. საქათველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-1470-1390-2017.

35. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N3ბ/2727-17;

36. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №2ბ/5087-14.

37. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 აგვისტოს განჩნება საქმეზე №2ბ/3437-14;

38. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე N2453275-18;